

სვ

ქ. თბილისი

18.04.2016 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ჯეუ გრუპი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო კვიციანიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (2016 წლის 15 აპრილის N644 საქართველოს მთავრობის განკარგულება).
- 1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ქ. თბილისში, კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის სამუშაოები;
- 1.3 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა;
- 1.4 გამარტივებული შესყიდვის ნომერი: N°SMP160001033;
- 1.5 კლასიფიკატორის კოდი: 45233110 - საავტომობილო გზების მშენებლობა;
- 1.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით.

### 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

- 2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.
- 2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4 993 986,60 (ოთხი მილიონ ცხრაასოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაექვსი ლარი და 60 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
- 2.3. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებების დეტალური აღწერა და მოცულობები თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### 3. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

- 3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 125 (ასოცდახუთი) კალენდარული დღე.
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
- 3.3 მიმწოდებელმა კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოადგინოს და შემსყიდველთან შეათანხმოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.
- 3.3 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზა;
- 3.4 სამუშაოების შესრულებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნები.
- 3.5 მიმწოდებელმა ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს მინიმუმ 2 ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ/80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად;
- 3.6 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.

### 4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

- 4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.
- 4.2 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;
- 4.3 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.
- 4.4 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2,5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5%-ის გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.
- 4.5 მიმწოდებლის მხრიდან, საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე, დარჩენილ 2,5 %-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს თანხის გადახდა.
- 4.6 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 4.4 პუნქტით განსაზღვრული დარჩენილი 2,5 % არ ანაზღაურდება.

4.7 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი დარჩენილ 2,5 %-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

- 5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
- 5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლზე ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.
- 5.3 შესრულებული სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი პერიოდულად ახორციელებს ინსპექტირებას, რაზედაც წინასწარ აცხობინებს მიმწოდებელს. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში დგება შესაბამისი ინსპექტირების ოქმი;
- 5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი, კერძოდ:
- მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით. მათ შორის: აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი, გამოსაყენებელი მასალების ლაბორატორიული გამოცდები და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს გამოყენებული მასალა-ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ლაბორატორიული დასკვნები, სერტიფიკატები და სხვა).
- 5.5 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესყიდვის ობიექტის ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. სამუშაოების (ან მისი ნაწილის) შესრულების თარიღად ჩაითვლება „შესრულებული სამუშაოების აქტში“ (ფორმა-2) მითითებული სამუშაოთა დასრულების თარიღი. ამასთან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტებით ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 80%-ისა.
- 6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების (ერთეული ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ (ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში)(საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად).
- 6.3 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან საქართველოში სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დადებითი საექსპლუატაციო დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში.
- 6.4 იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
- 6.5 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ან/და მისი უფლებამოსილი პირი აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა დაწუნებული სამუშაოს გამოსწორების მიზნით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულების 8.6 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრული ვადის ბოლო თარიღიდან დეფექტების საბოლოო აღმოფხვრამდე.
- 6.6 სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 6.7 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).
- 6.8 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

### 7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

- 7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2016 წ.თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.3 შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიმწოდებელი თანახმაა მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებამდე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ მიმართულ იქნეს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.5 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდველთან დაკავშირებულ ვალდებულებების შესასრულებლად.

7.6 წინასწარი გადახდის თანხების (ავანსი) დაკავება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 4 სექტემბრის №508 ბრძანების შესაბამისად - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამოწმების შესახებ“.

7.7 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (გარდა შესრულების ვადის და წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევისა) მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

8.4 კალენდარული გეგმა-გრაფიკის ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოდგენლობის ან/და შეუთხმებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ერთჯერადად ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

8.5 ინსპექტირებისას სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის (გარდა საბოლოო მიწოდების ვადის გადაცილებისა) ჩამორჩენის დაფიქსირების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

8.6 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს დასრულების ვადის და წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ;

8.8 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.9 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,05 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.10 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში;
  - ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
  - გ) კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარმოუდგენლობის ან/და შემსყიდველთან შეუთანხმებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
  - დ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს საბოლოო შესრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
  - ე) მიმწოდებლის მიერ ხარვეზების გამოსწორებაზე უარის თქმის ან არ გამოსწორების შემთხვევაში;
  - ვ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
  - ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
- 9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

## 10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც უნდა წარმოადგინოს მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია განახევრებული ოდენობით), რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ქ. თბილისში, კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის სამუშაოების დასრულების ვადას (წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ნიმუში დანართის სახით თან ახლავს ხელშეკრულებას).

10.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

10.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

*შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.*

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუფრავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შესრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით, აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

## 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 14. უფლებების გადაცემა

14.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

## 15. ღირებულება

15.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

15.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

15.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

15.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

16.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 599212200; საკონტ. პირი ქ-ნ ნინო კიკაბიძე, ელექტრონული ფოსტა: geugroup@gmail.com;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი ბ-ნი ჰამლეტ ჟიჟიაშვილი; ტელეფონის ნომერი 599548582; ელექტრონული ფოსტა: ketilmotskoba@tbilisi.gov.ge;

16.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

16.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

## 17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

17.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

17.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**18. სხვა პირობები**

- 18.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 18.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

**19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**



შემსყიდველი:  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

-----

ლაშა აბაშიძე  
მერის პირველი მოადგილე  
(ვიცე-მერი)  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7  
სახელმწიფო ხაზინა  
TRESGE22  
საიდ. კოდი: 204521794  
ა/ა GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:

შპს „ჯეუ გრუპი“



ნინო კიკვაბიძე  
დირექტორი

შპს „ჯეუ გრუპი“  
ქ.თბილისი, შარტავას ქ №6 ბ.83  
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"  
ბანკის კოდი: UGEBGE22  
საიდ. კოდი: 205251537  
ა/ა GE28VT660000000463605

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შეთანხმებულია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური  
შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი

დავით მორლიშვილთან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო  
საქალაქო სამსახურის უფროსი

ლევან თევზაიასთან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის  
საქალაქო სამსახურის უფროსი

გივი კუმბაშვილთან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ჰამლეტ ჟიჟიაშვილი -

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელი

ზურაბ მძინარიშვილი -

**ქალაქ თბილისში კრწანისი-შინდისის დამაკაფშირებელი ბზის მშენებლობის სამუშაოები  
საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა**

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	9	11
<b>1, მოსამზადებელი სამუშაოები</b>					
1	ტრასის აღდგენა და დამაგრება	კმ	5,08	360,94	1 833,58
2	არსებული დაზიანებული ქვაფენილის დაშლა ხელით ქვის მასალის ადგილზე დასაწყობებით შემდგომი გამოყენებისათვის	მ3	222,00	9,49	2 106,78
3	არსებული საკომუნიკაციო ჭეხის მოყვანა საპროექტო ნიშნულზე			0,00	0,00
4	არსებული ხუფის დემონტაჟი	ც	11,00	5,71	62,81
5	არსებულ ჭის ტანის აწევა მონოლითური ბეტონით	მ3	3,30	246,41	813,15
6	არსებული ხუფის ახლიდან მონტაჟი	ც	11,00	10,38	114,18
7	არსებული ქვის ღობის დემონტაჟი შემდგომ ახალი ღობის მოწყობით	მ3	22,50	32,90	740,25
6	ახალი ღობის მოწყობა	მ3	22,50	82,77	1 862,33
<b>გზის ქვეშეგამავალი გაზსადენი მილის გარსაცმში მოქცევის სამუშაოები</b>					
1	ქვაბულის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქურებით VI კატეგორიის გრუნტებში, დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაყარში 30 კმ-ზე	მ3	351,00	35,66	12 516,66
2	გრუნტის დამუშავება ხელით სანგრევი ჩაქურების გამოყენებით დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 30 კმ-ზე	მ3	35,00	74,10	2 593,50
9	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა მილის ქვეშ 20 სმ	მ3	40,50	23,78	963,09
10	გარსაცმელის მოწყობა ლითონის მილით დ-700მმ	1კმ	0,14	206 237,46	28 873,24
11	მაღალი წნევის ცენტრალური გაზსადენი მილის მოწყობა დ-530მმ ლითონის მილებით კედლის სისქით არანაკლებ 6მმ	1კმ	0,14	213 428,91	29 880,05
12	მილის გატარება გარსაცმის მიღში	100მ	1,35	3 816,50	5 152,28
13	მიწაში განთავსებული გარსაცმისა და მასში გატარებული გაზსადენი მილის გარშემო გამლიერებული იზოლაციის მოწყობა სისქით 9მმ	1კმ	0,51	30 986,16	15 802,94
14	ფოლადის მუხლის მონტაჟი დ530მმ	ც	4,00	1 153,41	4 613,64
15	გაზსადენის შემოწმება	კმ	0,14	4 321,92	605,07
16	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით ბუღდლოზერით დატკეპნით	მ3	294,00	16,88	4 962,72
<b>არსებული მაგისტრალის გაუქმება</b>					
1	არსებული დ-530მმ მილების ჩახსნა სათავისებში	წ	2,00	56,58	113,16
2	არსებული დ-530მმ მილების დემონტაჟი და ტრანსპორტირება ბაზაში 20 კმ-ზე	1კმ	0,14	14 847,57	2 078,66
<b>I თავის ჯამი</b>					<b>115 688,08</b>
<b>მიწის ვაკისი</b>					
1	28ბ გრუნტის დამუშავება მძლავრი ბუღდლოზერით გადაადგილებით 50 მ-მდე დატკეპნით	მ3	28 326,00	2,28	64 583,28
2	28ბ გრუნტის გაფხვიერება მძლავრი ბუღდლოზერით, დატვირთვა ექსკავატორით ავტოთვითმცლელელებზე, ტრანსპორტირება ნაყარში 5 კმ-ზე	მ3	16 173,00	9,982	161 438,89
3	28ბ გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქურებით დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 5 კმ-ზე	მ3	28 483,00	19,982	569 147,31
	33ბ გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში 5 კმ-ზე	მ3	5 242,00	6,331	33 187,10
<b>2 თავის ჯამი</b>					<b>828 356,57</b>



<b>პრეპროექტის მონოლითური კონსტრუქციის მოწყობა</b>					
<b>მოსამზადებელი სამუშაოები</b>					
1	28 <sup>ბ</sup> VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქუნებით, დატვირთვა ექსკავატორით	მ3	1 120,36	18,182	20 370,39
2	28 <sup>ბ</sup> VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქუნებით, დატვირთვა ხელით და გატანით ნაყარში	მ3	124,15	102,421	12 715,57
3	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა h-10 სმ	მ3	105,98	23,78	2 520,20
4	მონოლითური რკბეტონის ღარის მოწყობა ბეტონი B-22,5 F200 W-6	მ3	334,80	235,03	78 688,04
5	არმატურა a-III	ტ	12,24	996,00	12 191,04
6	კედლის უკანა სივრცის შევსება ხრეშოვანი გრუნტით	1000მ3	0,55	10 323,74	5 678,06
<b>რკბეტონის მიღების მოწყობა</b>					
1	28 <sup>ბ</sup> VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქუნებით ა/თვითმცველზე და ტრანსპორტირებით ნაყარში	მ3	880,00	18,202	16 017,76
2	28 <sup>ბ</sup> VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქუნებით, დატვირთვა ხელით და ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	88,00	57,251	5 038,09
<b>სწორკუთხა რკბეტონის მიღის მოწყობა 3,0X2,5მ 274მ</b>					
1	ქვიშა-ხრეშოვანი საგები	მ3	34,76	36,85	1 280,91
2	ბეტონის საგების მოწყობა 15 h-50 სმ	მ3	97,20	184,32	17 915,90
3	ტანის მონოლითური ბეტონი B30, F200, W6	მ3	136,80	194,53	26 611,70
4	არმატურა a-III	ტ	19,04	996,00	18 963,84
5	შესაკრავი მავთული და გადანაჭრელები 2,5%	ტ	0,48	3 200,00	1 536,00
6	სადეფორმაციო ნაკერის მოწყობა ბიტუმით გაუღწეილი ქენძით სისქით 3 სმ	მ2	64,43	22,41	1 443,88
7	ბეტონის წყალსარიდი სამკუთხედის მოწყობა B22,5, F200, W6	მ3	2,52	161,67	407,41
8	სექციების გადაბმის ადგილების გამონოლითება ბეტონით B30, F200, W6	მ3	4,30	161,67	695,18
9	წარსაცხი პიდროიზოლაციის მოწყობა	მ2	352,80	11,21	3 954,89
10	ასაკრავი პიდროიზოლაცია	მ2	166,60	22,41	3 733,51
<b>სათავისების (პორტალური კედლის, ფრთის კბილის, ძირის და ტანის) მოწყობა მონოლითური ბეტონით:</b>					
1	ხრეშოვანი საგების მოწყობა პ-10 სმ	მ3	4,07	23,78	96,78
2	სათავისების (პორტალური კედლის, ფრთის კბილის, ძირის და ტანის) მოწყობა მონოლითური ბეტონით:	მ3	14,50	194,52	2 820,54
3	არმატურა a-III	ტ	0,99	996,00	986,04
4	შესაკრავი მავთული და გადანაჭრელები 2,5%	ტ	0,02	3 200,00	64,00
5	წასაცხები პიდროიზოლაცია	მ2	14,00	11,21	156,94
6	კორდონის ქვის მოწყობა ბეტონისაგან B30 F200 W6	მ3	0,60	209,81	125,89
<b>მრგვალი რკბეტონის მიღის მოწყობა :</b>					
7	ხრეშოვანი საგების მოწყობა h-10 სმ	მ3	68,31	120,98	8 264,14
8	ბეტონის საგების მოწყობა 15 h-50 სმ	მ3	84,15	183,73	15 460,88
9	რკბეტონის რგოლები d-1,5მ	მ3	71,28	540,17	38 503,32
10	წარსაცხი პიდროიზოლაციის მოწყობა	მ2	1 108,80	10,04	11 132,35
11	ასაკრავი პიდროიზოლაცია	მ2	554,40	20,64	11 442,82
<b>სათავისების (პორტალური კედლის, ფრთის კბილის, ძირის და ტანის) მოწყობა მონოლითური ბეტონით:</b>					
1	ხრეშოვანი საგების მოწყობა h-10 სმ	მ3	6,72	23,78	159,80
2	სათავისების (პორტალური კედლის, ფრთის კბილის, ძირის და ტანის) მოწყობა მონოლითური ბეტონით:	მ3	88,92	186,41	16 575,58
3	წასაცხები პიდროიზოლაცია	მ2	235,20	10,04	2 361,41

	<b>ქვის რისბერმის მოწყობა</b>				
1	ქვიშა-ხრეშოვანი საგები h-20 სმ	მ3	8,00	23,78	190,24
2	უჟანგავი გაბიონის ყუთების მოწყობა ზომით 2,0X1,0X1,0 მ 36ც	ტ	0,63	146,40	92,23
	გაბიონის ყუთი	ცალი	36,00	71,50	2 574,00
	გაბიონის სამონტაჟო მავთული	კგ	33,00	3,20	105,60
3	ყუთებში ყორე ქვის ჩალაგება	მ <sup>3</sup>	72,00	66,43	4 782,96
4	კედლის უკანა სივრცის შევსება ადგილობრივი გრუნტით	1000მ3	1,22	131,49	160,42
5	კალაპოტის გაჭრა VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ნაქუნებით დატვირთვა ათვისიმცვლელზე ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	152,16	18,202	2 769,62
6	სპეცპროფილის ბეტონის პარაპეტების მოწყობა	100მ3	0,11	19 553,50	2 150,89
7	არსებული და საპროექტო პარაპეტების შეღებვა	მ2	100,80	1,97	198,58
<b>საყრდენი კედლის მოწყობა</b>					
1	კალაპოტის გაჭრა VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ნაქუნებით დატვირთვა ათვისიმცვლელზე ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	1 326,00	18,202	24 135,85
2	28 <sup>ბ</sup> VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ნაქუნებით, დატვირთვა ხელით თვისიმცვლელზე და ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	133,00	57,251	7 614,38
	<b>რკბეტონის კედლის მოწყობა 110გ,მ</b>				
3	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა ჰ-20 სმ	მ3	64,00	36,85	2 358,40
4	ტანის მონოლითური ბეტონი B30 F200, W6	მ3	819,29	194,53	159 376,48
5	არმატურა A-III	ტ	3,89	996,00	3 874,44
6	შესაკრავი მავთული და გადანატრელები 2,5%	ტ	0,096	3 200,00	307,20
7	წარსაცხი პიდროზოლაციის მოწყობა	მ2	1 137,00	11,21	12 745,77
8	სადეფორმაციო ნაკერის მოწყობა პენოპლასტიკით სისქით 3 სმ	მ2	30,70	185,62	5 698,53
	<b>კედლისუკანა დრენაჟის მოწყობა</b>				
1	სადრენაჟო პლასტმასის მილების ფ 150მმ ხვრელებით მოწყობა	1კმ	0,05	31 828,53	1 591,43
2	დრენაჟისათვის პოხიერი თიხა	მ3	66,00	78,17	5 159,22
3	დრენაჟისათვის რიყის ქვა	მ3	99,00	31,88	3 156,12
	<b>ქვის რისბერმის მოწყობა</b>				
1	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა h-20 სმ	მ3	28,80	23,78	684,86
2	უჟანგავი გაბიონის ყუთების მოწყობა ზომით 2,0X1,0X1,0 მ 114ც	ტ	1,995	146,40	292,07
	გაბიონის ყუთი	ცალი	114,00	71,50	8 151,00
	გაბიონის სამონტაჟო მავთული	კგ	105,00	3,20	336,00
3	ყუთებში ყორე ქვის ჩალაგება	მ <sup>3</sup>	228,00	66,43	15 146,04
4	თხრილის და კედლის უკანა სივრცის შევსება ადგილობრივი გრუნტით	1000მ3	0,61	131,49	80,21
	<b>3 თავის ჯამი</b>				<b>601 645,38</b>
	<b>4, საგზაო სამოსი</b>				
1	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 30 სმ	100მ3	133,74	1 706,56	228 235,33
2	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით ფრ (0-40) სისქით 12 სმ	მ2	35 278,00	3,96	139 700,88
3	თხევადი ბიტუმიტ მოსხმა 0,7კგ/მ2	ტ	23,38	1 304,87	30 507,86
4	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი აბეტონის ცხელი ნარევით მარკა II სისქით 6სმ,	მ2	33 391,10	14,88	496 859,57
5	თხევადი ბიტუმიტ დამუშავება 0,3კგ/მ2	ტ	10,02	1 304,87	13 074,80
6	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკერვი აბეტონის ცხელი ნარევით ტიპი ბ მარკა II სისქით 5სმ,	მ2	33 391,10	13,66	456 122,43
7	მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	100მ3	34,25	1 706,56	58 449,68
	<b>დაზიანებული ა/ბ საფარის შეკეთება</b>				

8	არსებული დაზიანებული ა/ბ საფარის დაშლა ცივი ფრეზირების მეთოდით დოლის სისქით 2000მმ, სისქით 5 სმ	100მ2	5,60	112,31	628,94
9	დაზიანებული ბეტონის კოლექტორის გამონოლითება ბეტონით B-22,5	მ3	0,20	372,53	74,51
10	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0,7კგ/მ2	ტ	0,39	1 304,87	508,90
11	შემასწორებელი ფენის მოწყობა ასფალტობეტონის ცხელი ნარევით მარკა II, ტიპი E სისქით 2სმ	100ტ	0,27	11 976,97	3 233,78
12	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0,3კგ/მ2	ტ	0,17	1 304,87	221,83
13	საცვეთი ფენის მოწყობა ასფალტობეტონის ცხელი ნარევით მარკა II, ტიპი E სისქით 5სმ	მ2	560,00	14,15	7 924,00
	<b>დაზიანებული ქვაფენილის შეკეთება</b>				
15	შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ	100მ3	1,48	1 706,56	2 525,71
16	საფუძელის ზედა ფენის მოწყობა ქვიშით 4% ცემენტის დანამატით სისქით 15 სმ	1000მ2	0,222	6 569,09	1 458,34
17	გრძივი და განივი სარტყელების მოწყობა	მ3	21,44	221,14	4 741,24
18	არმატურა A-III	ტ	0,84	996,00	836,64
19	საფარის მოკირწყვლა ქვაფენილით არსებული ქვის მასალის გამოყენებით სისქით 15 სმ	მ2	1 480,00	42,67	63 151,60
	<b>4 თავის ფაზი</b>				<b>1 508 256,03</b>
	<b>5. გზის კუთვნილება და მოწყობილობა</b>				
	<b>მიერთების მოწყობა</b>				
1	საფუძელის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 30 სმ	100მ3	2,38	1 706,56	4 061,61
2	საფუძელის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით ფრ (0-40) სისქით 20 სმ	მ2	793,56	7,34	5 824,73
3	თხევადი ბიტუმით მოსხმა 0,7კგ/მ2	ტ	0,54	1 304,87	704,63
4	საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკერივი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით ტიპი E მარკა II h-5 სმ	მ2	778,00	13,66	10 627,48
	<b>ტროტუარების მოწყობა</b>				
1	28ბ VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქუნებით დატვირთვა ათვისმცველზე და ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	473,50	18,202	8 618,65
2	28ბ VI ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული სანგრევი ჩაქუნებით, დატვირთვა ხელით თვისმცველზე და ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	47,35	57,251	2 710,83
3	ბეტონის ბორდიურის (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე ბეტონი ბეტონის ბორდიური B-25 F200 W-6	გ.მ	975,00	27,75	27 056,25
4	ბეტონის ბორდიურის (20X10) მოწყობა ბეტონის საფუძველზე ბეტონი ბეტონის ბორდიური B-25 F200 W-6	გ.მ	947,00	20,25	19 176,75
5	პროფილის შესწორება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	100მ3	2,13	1 681,36	3 581,30
6	საფუძელის მოწყობა ფრაქციული ღორღით ფრ(0-40) h-10სმ	მ2	1 420,50	3,14	4 460,37
7	თხევადი ბიტუმით მოსხმა 0,7კგ/მ2	ტ	0,99	1 304,87	1 291,82
8	საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბ ცხელი ნარევით h-3სმ	მ2	1 420,50	10,34	14 687,97
	<b>საგზაო ნიშნები</b>				
1	სტანდარტული შუქამრეკლი ნიშნები ბრტყელი II ტიპური ზომის GOCT 10807-78-ის მიხედვით	ც	34,00	59,74	2 031,16
2	სტანდარტული ფარები ბრტყელი II ტიპური ზომის GOCT 10807-78-ის მიხედვით თუთიით გაღვანიზირებული ლითონის ფურცელზე, დაფარული შუქდამბრუნებელი ASTM D4956-09 Type III ფირით	ც	34,00	155,35	5 281,90
	სამკუთხა 900x900x900	ც	11,00	73,89	812,79
	მრგვალი დ-700	ც	6,00	44,70	268,20
	მართკუთხა 350X700 მმ	ც	6,00	35,65	213,90
	მართკუთხა 500X2250 მმ	ც	11,00	188,95	2 078,45

3	სავაჭრო ნიშნების ლითონის დგარების ღირებულება:				
	ა) სიგრძით 2,75მ	ც	22,00	36,22	796,84
	ბ) სიგრძით 3,5მ	ც	17,00	50,00	850,00
	ლითონის მრუდხაზოვანი ძელებიანი ზღუდარის მოწყობა				
1	ლითონის მრუდხაზოვანი ძელებით შემოფარგვლა	გ,მ	1 650,00	65,49	108 058,50
	მონოლითური პარაპეტების მოწყობა				
1	მონოლითური პარაპეტების მოწყობა	მ3	369,60	190,21	70 301,62
2	პარაპეტების შეღებვა	მ2	3 456,00	1,97	6 808,32
	პლასტმასის მიმმართველი ბოქინტების მოწყობა				
1	პლასტმასის მიმმართველი ბოქინტების მოწყობა	ც	186,00	59,85	11 132,10
	სავალი ნაწილის მონიშვნა თეთრი ნიტროემალით				
1	სავალი ნაწილის მონიშვნა თეთრი ნიტროემალით GOCT 23457-86-ის მიხედვით	მ²	1 186,59	8,89	10 548,79
	5 თავის ჯამი				321 984,95
	სულ 1-5 თავის ჯამი				3 375 931,02
	ზედნადები ხარჯები %	10%			337 593,10
	ჯამი:				3 713 524,12
	გემშიური დაგროვება	8%			297 081,93
	სულ:				4 010 606,05
	გაუთვალისწინებელი ხარჯები %	5%			200 530,30
	ჯამი:				4 211 136,35
	დღგ 18%	18%			758 004,54
	ჯამი:				4 969 140,89
	ექსპერტიზა	0,5%			24 845,70
	სულ				4 993 986,60

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია



ლამაზაშიძე  
მერის პირველი მოადგილე  
(ვინცა-მერი)

შპს "ჯეუ გრუპი"

ნინო კვიციანი  
დირექტორი



დანართი

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა  
(საბანკო გარანტია)

ვის: \_\_\_\_\_

(შემსყიდველის დასახელება)  
მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

(მიმწოდებლის დასახელება)  
შემდგომში „მიმწოდებელმა“ \_\_\_\_\_ ხელშეკრულებით  
გათვალისწინებული პირობების შესაბამისად  
(ტენდერის დასახელება)

იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული  
ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე,  
ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან  
დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე  
მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით (ლარი))  
და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების  
პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.  
წინამდებარე გარანტია ძალაშია \_\_\_\_\_

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

(თარიღი)

\_\_\_\_\_

(მისამართი)

25.04.16 №

ხელშეკრულების შესრულების  
საგარანტიო უზრუნველყოფა  
№BGMP0133/250416

ვის: თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს „ჯეო გრუპმა“, ს/კ 205251537 (შემდგომში - „მიმწოდებელი“) 2016 წლის 18 აპრილით დათარიღებული №01.01 01/10/226 ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ „ხელშეკრულება“), ქ.თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ.თბილისში კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე (გამარტივებული შესყიდვა №SMP160001033) იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გაცვეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.

ამასთან, დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე: 124,849.67 (ას ოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდაცხრა ლარი და 67 თეთრი) ლარი და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. წინამდებარე გარანტია ძალაშია 2016 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.

დირექტორი  
ვალერიან გაბუნია

